საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N3

ქ.თბილისი **25.02.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:
მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები:
ანა ლელაძე;
გიორგი მელიქაძე;
თამარ შენგელია;
ნინო გაგელიძე;
თამთა კობახიძე.

აკრედიტაციის ექსპერტები:
ეკატერინე ბაკარაძე;
ელენე კიკალიშვილი;
ნინო ქიმერიძე;
მაია გონაშვილი;
ნინო ღაღანიძე;
ნანი არაბული.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

გიგა ღავთაძე;
ირმა ყიფიანი;
ელისო ქორიძე.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
შალვა ჭკადუა;
ნინო მოდებაძე.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
გულნაზი გალდავა;
მოგელი შენგელია;
ანა ფირცხალაიშვილი;
თამარ გაგოშიძე;
დევი ხვედელიანი;
მურთაზ კვირკვაია;
ვასილ კიკუტაძე.

შპს სასწავლო უნივერსიტეტ - სეუს წარმომადგენლები:
გიორგი ცხვედიანი;
გოჩა თუთბერიძე;
დალი სეხნიაშვილი;
ალექსი ავალიანი;
ნონა ზუმბაძე.

სხდომა დაიწყო 15:31 სთ-ზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის გამო, სხდომას გაუძღვა თავმჯდომარის მოადგილე მაია მიქაშავიძე. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გლობალური საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. 8. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს შუამდგომლობა არ ჰქონიათ.

1.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ევროპისმცოდნეობა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	110405
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკატერინე ბაკარაძემ. მან საბჭოს გააცნო ვიზიტის შესახებ ინფორმაცია და გაახმოვანა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, პრაქტიკის კომპონენტი უფრო მოცულობითი იყოს, გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტისთვის მინიჭებული 5 კრედიტის ნაცვლად გაიზარდოს 10 კრედიტამდე;
- სასურველია წიგნადი ფონდის გაზრდა თანამედროვე ლიტერატურით ევროპისმცოდნეობის დარგში;
- სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები "ევროპული აზროვნების ისტორია" და "პოლიტიკური იდეოლოგიები", ასევე "ევროკავშირის მთავრობა და ინსტიტუტები" და "ევროპის ახალი და უახლესი ისტორია", ერთიდაიმავე კომპეტენციებს ავითარებს, სასურველია გადაიხედოს ამ კურსების შინაარსი და კომპეტენციები, კურსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, მოხდეს ამ სასწავლო კურსების ერთიანი სახით ჩამოყალიბება;
- სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით შუალედური და ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილია თითო საათი. სასურველია, გამოცდების ხანგრძლივობა გაიზარდოს, რათა სრულყოფილად შეფასდეს სტუდენტის ცოდნა;
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე ევროპისმცოდნეობის დარგში ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირის გამო, სასურველი იქნებოდა, რამდენიმე სასწავლო კურსი შეთავაზებული იყოს ინგლისურ ენაზე, რაც მაგისტრს გაუადვილებს შემდგომი კვლევების განხორციელებას.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა იყო მულტიდისციპლინური. მემორანდუმები იყო გაფორმებული საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. პროგრამა შედგებოდა 90 კრედიტი – სასწავლო კომპონენტისა (სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი; არჩევითი მოდულის ძირითადი კურსები – 45 კრედიტი; არჩევითი კურსები – 10 კრედიტი; პრაქტიკა – 5 კრედიტი) და 30 კრედიტი – კვლევითი კომპონენტისაგან (სამაგისტრო ნაშრომი).

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით განმარტა, რომ დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინებით პრაქტიკას დაეთმო 5 კრედიტი. თუმცა მისაღები აღმოჩნდა რეკომენდაცია და მისი თქმით, გაითვალისწინებდნენ. ცალ-ცალკე დარგობრივი ლიტერატურა საკმაოდ მდიდარი იყო და საერთაშორისო ბაზებთანაც ჰქონდათ წვდომა. დარგში ქართულენოვანი ლიტერატურის პრობლემა ზოგადად აქტუალური იყო, თუმცა უახლოეს დღეებში ექნებოდათ საშუალება შეძლებისდაგვარად შეევსოთ ბაზა ქართულენოვანი ლიტერატურით. სასწავლო კურსების

თემატიკის გადაფარვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების შინაარსი ახლოს იყო ერთმანეთთან და ამით იყო გამოწვეული თუმცა აკადემიური საბჭოს დადგენილებით უკვე შეცვალეს აღნიშნული ხარვეზი. გამოცდების დროსთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტეს, რომ სტანდარტული წესი იყო, მაგრამ გაითვალისწინებდნენ და შეცვლიდნენ აღნიშნულს. ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელი იყო და მათაც უფიქრიათ ღნიშნულზე, თუმცა ლიტერატურის სიმწირისა და ზოგ შემთხვევაში არ ქონის გამო დროებით თავი შეიკავეს. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, ზოგადად ყველა რეკომენდაცია მისაღები იყო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სად გაივლიდნენ სტუდენტები პრაქტიკას, რა სახის იქნებოდა და ვის მოიაზრებდნენ დამსაქმებლებად.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ერთერთი დამსაქმებელი თვით უნივერსიტეტი იყო, პრაქტიკას გაივლიდნენ თავიანთ ადმინისტრაციაში, პარლამენტში (კულტურის, ევროინტეგრაცის კომიტეტებში), სამხარეო ადმინისტრაციში, სამთავრობო სტრუქტურებში, ა.შ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პარლამენტში პრაქტიკის გავლა რამდენად შსესაძლებელი და რეალისტური იყო. პროგრამაში ბევრი მიმართულება იყო გათვალისწინებული და რა იყო პროგრამის ფოკუსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები მოდულების მიხედვით მოახდენდნენ კონცენტრირებას. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა იყო სამაგისტრო სტუდენტებს უნდა ჰქონოდათ გარკვეული კომპეტენციები, პროგრამა კი ამ კომპეტენციების განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ექსპერტმა ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ თითო სასწავლო კურსი იყო 5 კრედიტიანი, 6 ძირითადი სასწავლო კურსი და 9 არჩევითი. ორი მოდული იყო და კომპეტენციები შესაბამისად გადანაწილებული.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა რამდენი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტი სპეციალისტი იყო ჩართული პროგრამაში, რამდენი სტუდენტის გამოშვებას აპირებდა პროგრამა და სად იგეგმებოდა მათი დასაქმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მინიმუმ რვა სტუდენტი ეყოლებოდა პროგრამას საწყის ეტაპზე. თუმცა ამერიკისმცოდნეობის პროგრამის ტენდენციების გათვალისწინებით მინიმუმ თხუთმეტი სტუდენტი იყო მოსალოდნელი. დასაქმება იგეგმებოდა საელჩოში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სპეციალური ცენტრი, რომელიც ზრუნავდა სტუდენტების დასაქმებაზე.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	გერმანული ენათმეცნიერება
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფილოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1005
კრედიტების რაოდენობა:	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა, ელენე კიკალიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა იყო 180 კრედიტიანი, კრედიტები გადანაწილებული იყო 60 კრედიტი სასწავლო და 120 კრედიტი კვლევით კომპონენტზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შეთანხმებული იყო იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტსთან. პროგრამის ძლიერ მხარეს წრმოადგენდა ინტერნაციონალიზაცია და დარგის განვიტარებაზე ორიენტირებულობა. უნივერსიტეტი თავად წარმოადგენდა დამსაქმებელს, თუმცა პროგრამის სათანადო დონეზე ამუშავების შემთხვევაში განვითარდებოდა დარგი და მიმართულეაც და დასაქმების სხვა პერსპექტივაც გაჩნდებოდა. ექსპერტმა გაახმოვანა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, გაიზარდოს შუალედური და დასკვნითი შეფასებების დრო (ამჟამად გამოყოფილია შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის ერთი საათი). სადოქტორო საფეხურზე სწავლა გულისხმობს დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავებას, შესაბამისად საათების გაზრდა ხელს შეუწყობს სტუდენტის უფრო სრულყოფილად შეფასებას.
- სასურველია, უფრო სრულყოფილად იქნას შესწავლილი დასაქმების შესაძლებლობები, რაც გაზრდიდა მოთხოვნას გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით. ასევე მსგავსი კვლევა ხელს შეუწყობდა კვლევით ნაწილის შესაბამისი მიმართულებით წარმართვას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის. შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის განკუთვნილ ერთ საათთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაეთანხმა და აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. დასაქმების შესაძლებლობებს რაც შეეხებოდა, მისი თქმით, სხვადასხხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან მუშაობდნენ ერთობლივ პროექტებზე, ხდებოდა სტუდენტების გაცვლა და ა.შ. მიზანი, მთავარი მოტივი იყო ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შექმნა. ასევე იგეგმებოდა პროექტის გაფართოება და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართვა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული გრანტები არ იყო გრძელვადიანი, როგორ შეინარჩუნებდა უნივერსიტეტი პროგრამას ამ მასშტაბით, რა სტრატეგია ჰქონდა დაწესებულებას ამ კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამა ჩართული იყო ურთიერთთანამშრომლობის პროექტში, ყოველწლიურად გამოიყოფოდა ფინანსები.

გერმანელი სპეციალისტები ატარებდნენ ბლოკ-სემინარებს და კითხულობდნენ გარკვეულ საგნებს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, პროექტის დასრულების შემდგომ, იგეგმებოდა თუ არა პროგრამის კურსდამთავრებულების ჩართვა სასწავლო პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი თავად იყო დამსაქმებელი. გერმანელმა სპეციალისტებმა თანამშრომლობის დაწყებამდე ნახეს უნივერსიტეტის ბაზა და შესაძლებლობები, გაესაუბრნენ მაგისტრანტებს, შეარჩიეს კანდიდატურა. პროგრამის ამუშავების შემთხვევაში შერჩეულ სტუდენტებს მიიღებდნენ და პროგრამის გავლის შემდეგ დაასაქმებდნენ უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, აქცენტი კეთდებოდა პროგრამის მდგრად განვითარებაზე. გერმანელ სპეციალისტებთან ერთად მუშავდებოდა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა სხვა მიმართულებების პროგრამებთან თანამშრომლობის თალსაზრისით. თანამშრომლობა გულისხმობდა არა მხოლოდ ერთობლივი პროგრამის შემუშავებას, არამედ კვლევასა და ახალგაზდა სპეციალისტების მომზადებას. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას.

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილები
განათლების საფეხური:	მესამე საფეხურის პროფესიული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	080359
კრედიტების რაოდენობა:	45

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ღაღანიძემ წარადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროფესიული პროგრამის და თვითშეფასების დოკუმენტებში ორი სხვადასხვა რედაქციითაა წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კერძოდ, თვითშეფასებაში კვალიფიკაცია ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „დეკორატიულ–გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია", ხოლო პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციაში არ ფიგურირებს საფეხური. ეს ტექნიკური უზუსტობა უნდა გასწორდეს და ორივე დოკუმენტში დაფიქსირდეს ერთნაირი კვალიფიკაცია.
- სასურველია, დაიხვეწოს სწავლის შედეგების რუკა და ზუსტად აისახოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგი. სასწავლო კურსები: „ქსოვის ტექნოლოგია", „ღებვის ტექნოლოგია", „მასალათმცოდნეობა" რეალურად უზრუნველყოფენ დასკვნის გაკეთების უნარს, თუმცა ეს არ არის ასახული რუკაზე.
- პროფესიულ პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისური ენის სილაბუსი. სასურველია, პროგრამამ პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს ასევე გერმანული და ფრანგული ენის შესწავლა.
- საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში დაშვების წინაპირობად მითითებულია ჯანმრთელობის ცნობა, კონკრეტულად, ინფორმაცია ალერგიულობის შესახებ. ასეთი მოთხოვნა სავსებით ლოგიკურია თუმცა, სასურველია, დაზუსტდეს რომელ ეტაპზეა მიზანშეწონილი ამგვარი ინფორმაციის მიღება, რათა, ერთი მხრივ, დაცული და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან იქნას აცილებული შესაძლო პრობლემები, რაც პროფესიასთან შეუთავსებლობით იქნება განპირობებული.
- სასურველია, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი იყოს და მოიცავდეს უახლესი პერიოდის გამოცემებს. ამ მიზნის განხორციელების ერთ–ერთი გზა შეიძლება იყოს თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან. მემორანდუმის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტი ყოველწლიურად მიიღებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის მეთოდურ სახელმძღვანელოებს, რომლებიც მომზადებულია და გამოცემულია აკადემიაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების საფუძველი ძირითადად იყო ტექნიკური უზუსტობები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები უკვე გათვალისწინებულ იქნა, მათ შორის უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებით და

სასწავლო პროგრამაში უკვე შეტანილი იყო გერმანული, ფრანგული და რუსული ენების კურსები 2-2 კრედიტის ოდენობით. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე, ასევე პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხუთ წლიანი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ობიექტი უზრუნველყოფდა სტუდენტების საჭირო მასალით მომარაგებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასული წლის კურსდამთავრებულები თექის ხელოსნის ოსტატებად დასაქმდნენ და კადრები ძირითადად ახმეტის მუნიციპალიტეტიდან მოდიოდნენ.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, კურსის ფარგლებში, ისწავლებოდა თუ არა ჯანდაცვა და უსაფრთხოება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უსაფრთხოება ისწავლებოდა და ალერგიულობის შესახებ ცნობაც ჩაიდო პროგრამაში წინაპირობის სახით.

4.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა ექსპერტი, რის გამოც, აღნიშნული საკითხი მომდევნო სხდომისთვის გადაიდო.

5.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	კომპიუტერული მეცნიერება
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინფორმატიკის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0401
კრედიტების რაოდენობა:	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნანი არაბულმა წარადგინა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველია, რომ სალექციო კურსში „Web-აპლიკაციების მომხმარებელთა ინტერფეისების დაპროგრამება: XML, AJAX“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ ძირითადი ლიტერატურა იყოს უფრო თანამედროვე და ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული.
- შესწორდეს სილაბუსებში მითითებული ვებ გვერდების მისამართები, რადგან უმეტესობა არ არის აქტიური ან არ გადადის კონკრეტულ ლიტერატურაზე. მაგ: „გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი სისტემები“, „კვლევის მეთოდები“, „სწავლების თანამედროვე მეთოდები“.
- სასწავლო კურსის „სისტემური ანალიზი“ დამხმარე ლიტერატურა მთლიანად არის რუსულენოვანი. რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს ნებისმიერ უცხო ენას B2 დონეზე, სასურველია სხვა ენაზე არსებული ლიტერატურის მითითებაც.
- თვითშეფასების ანგარიშში არის გარკვეული სახის უზუსტობა: 3.4 სტანდარტის აღწერაში მითითებულია რომ ისწავლება არჩევით საგნად უცხო ენა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და სასურველია რომ ჩასწორდეს
- სასურველია პროგრამის არჩევითი საგნების სპექტრი (ძირითადი სპეციალობის განხრით) იყოს უფრო მრავალფეროვანი.

ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტს კარგი მატერიალურ ტექნიკური ბაზა ჰქონდა, თუმცა რეგიონული მდებარეობის გამო, არჩევითი საგნების წასაკითხად კვალიფიციური კადრების მოზიდვა სირთულეს წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს. აღნიშნა, რომ იზიარებდა რეკომენდაციებს და ნაწილი უკვე გათვალისწინებული იყო. არჩევით საგნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინფორმატიკის კურსი იძლეოდა საშუალებას, სხვა საგნებიდან დაკომპლექტებულიყო არჩევითი მოდული, აკადემიური პერსონალი კი კვალიფიცირებული იყო.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ იკითხა, აღნიშნული სადოქტორო პროგრამა კვლევის რა ტიპებზე იყო ორიენტირებული და თუ ახდენდა გავლენას რეგიონი კვლევების შინაარზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თითქმის ყველა დოქტორანტი დასაქმებული იყო და ისინი ცდილობდნენ განევითარებინათ საკუთარი საქმიანობა, კვლევებსაც შესაბამისი კუთხით ატარებდნენ. მაგალითისთვის, დაწესებულების წარმომადგენელმა მოიყვანა დოქტორანტის შემთხვევა, რომელიც ბანკში მუშაობდა და კვლევას კლიენტთა იდენტიფიცირებაზე აკეთებდა. შესაბამისად, კვლევის თემას განსაზღვრავდა რეგიონში არსებული პრობლემებიცა და დასაქმების სფეროც.

6.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფილოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1005
კრედიტების რაოდენობა:	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ქიმერიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა საჭიროებდა თავიდან გადახედვას, რადგან ამ სახით იგი ვერ გადიოდა შედეგზე. ექსპერტის თქმით, ინტერდისციპლინური ნაწილი არ იყო წარდგენილი სრული ფორმატით, ასევე, არსებობდნენ ლექტორები, რომლებიც არ იყვნენ კვალიფიციურები იმ დარგებში, რის საგნებსაც კითხულობდნენ - მარკეტინგისა და სამართლის საკითხებს კითხულობდა ფილოლოგიის კვალიფიკაციის მქონე პირი. გამომდინარე იქიდან, რომ ერთ-ერთი მეთოდი იყო ქეისებით სწავლება, ლექტორი ვერ შეძლებდა გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემას. ექსპერტის თქმით, გამოცემათმცოდნეობა წარმოადგენდა პრაქტიკულ დარგს, უნდა შეჩერებულიყო უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე და არ უნდა გაგრძელებულიყო დოქტორანტურაზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა კონკურენტუნარიანი სპეციალისტის გამოშვებას. ასევე, დასაზუსტებელი იყო გამოცდის ფორმატი. სასწავლო მასალა, რომელიც სილაბუსებში იყო მითითებული, დიდწილად დაკომპლექტებული იყო რუსული ლიტერატურით. ასევე, გამოყენებული იყო რამდენიმე სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა. უნივერსიტეტის პასუხი ამასთან დაკავშირებით იყო ის, რომ პროგრამის ამუშავების შემთხვევაში, აღნიშნული ლიტერატურა განთავსდებოდა ბიბლიოთეკაში. ექსპერტმა განაცხადა, რომ ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა უნდა გადამუშავებულიყო და გარედაქტირებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა შედეგზე გასვლას, გამართული იყო მხოლოდ ტექსტოლოგიის ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხი პრეზენტაციის სახით მოამზადა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მძიმე იყო და ეცდებოდნენ მუხლობრივად გაეცათ პასუხი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოცემათმცოდნეობის კომპონენტი არ იყო ფილოლოგიური შინაარსის, მან მაგალითად მოიყვანა საზღვარგარეთის უნივერსიტეტების რეკომენდაციები, რის მიხედვითაც, ეს სპეციალობა ისწავლებოდა როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო საფეხურზე. ეთანხმებოდა ექსპერტის რეკომენდაციას რუსულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით, და აღნიშნული ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო. კვალიფიკაციასთან დაკავშირებითაც, დაწესებულებამ მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ კურსებს საგნის სპეციალისტები უკეთ წაიკითხავდნენ, რის გამოც პროფესორის შეცვლას გეგმავდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პრობლემა ტერმინოლოგიურ აღრევას ხომ არ უკავშირდებოდა, რადგან საგამომცემლო საქმე და სარედაქციო საქმე (Editorial Studies) სხვადასხვა იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სწორედ ტერმინოლოგიური უზუსტობა იყო იმის მიზეზი, რომ ექსპერტს პროგრამა არაფილოლოგიური შინაარსის ეგონა, რის გამოც არ უჭერდა მხარს ტექსტოლოგიასთან გაერთიანებას.

ექსპერტმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ პრობლემა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მოგვარებულიყო, თუ ყველაფერი, რაც წარმოადგინეს, აისახებოდა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვნებათაღელვა პროგრამის სათაურმა წარმოშვა, ხოლო პროგრამა უკვე დამუშავებული იყო.

საბჭოს წევრმა, ნანა ცერცვაძემ, აღნიშნა, ტერმინოლოგიური უზუსტობა, რომელიც გაურკვევლობას იწვევდა, პრობლემას წარმოადგენდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა სამაგისტრო პროგრამებს, რომლის კურსდამთავრებულებიც იყვნენ პოტენციური დოქტორანტები და გეგმავდნენ მაქსიმუმ 10 სტუდენტის მიღებას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ მხარდაჭერა გამოხატა დაწესებულების მიმართ და აღნიშნა, რომ საგამომცემლო საქმეს ესაჭიროებოდა ის, რასაც უნივერსიტეტი აკეთებდა.

7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გლობალური საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	გლობალური საჯარო ადმინისტრირება და პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	1109
კრედიტების რაოდენობა:	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჯგუფის წევრმა, განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა მარგიშვილმა წარადგინა.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელება საფრანგეთის ადმინისტრირების უმაღლეს სკოლასთან ერთად იგეგმებოდა.

ლაშა მარგიშვილმა დამსწრე საზოგადოებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები გააცნო:

- „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 491 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება ერთობლივად განახორციელოს საქართველოს რამდენიმე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესს ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- დაწესებულებებს შორის გაფორმებული მემორანდუმის მე-3 მუხლის თანახმად, დოკუმენტი განსაზღვრავდა თანამშრომლობის ზოგად ჩარჩოს. მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ ყველა საერთო საკითხზე, როგორიცაა - ბიუჯეტი, მიზნები, საშუალებები, მოსალოდნელი შედეგები, ღირებულება, ხანგრძლივობა, ფინანსური და ადმინისტრაციული მოვალეობები, განხორციელებისთვის საჭირო ყველა სხვა მონაცემი. აღნიშნული ხასიათის შეთანხმება დაწესებულებებს შორის ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო გაფორმებული. ამასთან, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა ვიზიტის მიმდინარეობისას, 2015 წლის 6 თებერვალს დაამტკიცა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების წესი, რომელიც საფრანგეთის ადმინისტრირების უმაღლეს ეროვნულ სკოლა - ENA-სთან საჭიროებს შეთანხმებას;
- დეტალურად უნდა განსაზღვრულიყო რას გულისხმობდა ფრანგი პარტნიორი მემორანდუმის მეორე მუხლით გათვალისწინებულ - „კანდიდატების საბოლოო მიღებაში" თანამონაწილეობაში; ითვალისწინებდა თუ არა ეს გამოცდას ან გასაუბრებას; რა კრიტერიუმებით მოხდებოდა კანდიდატების შეფასება და მოხდებოდა ეს მხოლოდ პროგრამის დაწყების წინ თუ მეორე სემესტრის დასრულებისას, როდესაც დაგეგმილი იყო სტუდენტების საფრანგეთში გამგზავრება. აღნიშნული კრიტერიუმების დეტალურად განსაზღვრა მნიშვნელოვანი იყო, რადგან კომისიის მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სტუდენტები ვერ შეძლებდნენ 120 კრედიტის დაგროვებასა და მაგისტრის დიპლომის აღებას;
- დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობისას ვერ წარმოადგინა ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დადასტურდებოდა, რომ ფრანგული მხრიდან

კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულება არის უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 1-2 სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს სთავაზობდა 60 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობას. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ფრანგული მხარის მიერ შემუშავებული სილაბუსები. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ კურსების ჩამონათვალი და მათი მოკლე აღწერა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყველა რეკომენდაცია მისაღებად მიიჩნია. მისი თქმით, დაწესებულება დასმული პრობლემების მოსაგვარებლად აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ფრანგულ მხარესთან და უახლოეს დროში გეგმავდა ვიდეოკონფერენციას. უცხოენის ფლობის დონესთან დაკავშირებით, დაწესებულებამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა დააწესა, რომელიც ენის ცოდნის სათანადო დონეს გულისხმობდა. სილაბუსებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ფრანგულმა მხარემ დაწესებულებას მიაწოდა სილაბუსები, რომლებიც განსხვავებული ფორმით წარმოებდა, მოკლე, აღწერილობით ხასიათის იყო და არა ჩვენთვის ჩვეული ფორმით გაწერილი.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:00 საათზე. სხდომა განახლდა 18:10 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1);
  ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, კერძოდ: გადამოწმდეს რამდენად მოხდა დასაქმებაზე ფოკუსირება, როგორც რეგიონის ისე მთელი საქართველოს მასშტაბით.
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1);
  ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. კერძოდ, გადამოწმდეს ბიბლიოთეკის განახლება.
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1);
  ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. კერძოდ, პროგრამის სახელი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ სტუდენტები არ შეიყვანოს შეცდომაში და შეესაბამებოდეს პროფესიას;
- შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გლობალური საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1);

8. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მენეჯმენტი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0203
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტმა მაია გონაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ჯგუფის მიერ, პროგრამის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული:

- სასურველი იყო პროგრამას დამატებოდა თუნდაც არჩევით საგნებად მმართველობითი აღირცხვა, (Managerial Accounting) და ფინანსური მენეჯმენტი (Financial Management);
- რეკომენდირებული იყო ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმებულიყო თემების და მასალების თანმიმდევრობა, ზოგიერთი საგნის თემატიკის დახვეწა და უფრო დეტალური აღწერა, რომ არ მომხდარიყო თემების მიხედვით საკითხების გამეორება. რეკომენდირებული იყო ერთი და იგივე ლიტერატურის მითითებისას სხვადასხვა საგანში ცალკეული თავების ან გვერდების დაზუსტება, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდიდა საკითხებს. ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებდა დახვეწას, (კერძოდ, პრეზენტაციის შეფასების კომპონენტი მოიცავდა დავალებათა განაწილებას ჯგუფში-1 ქულა, რომელიც იკარგებოდა, როცა სტუდენტი მარტო ასრულებდა პროექტს და სხვა.);
- რეკომენდირებული იყო, ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსის ძირითადი და/ან დამხმარე ლიტარატურის ჩამონათვალის მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოებით შევსება; (მაგ. სტრატეგიული მენეჯმენტი - ტომპსონი, სტრატეგიული მენეჯმენტი) და უფრო ახალი ნორმატიული დოკუმენტების მითითება (მაგ. ფინანსურ აღრიცხვაში საქართველოს კანონი „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ", 05 თებერვალი 1999წ. , რომელიც ძალადაკარგულია 2013 წლის 1 იანვირად საქართველოს 06/29/2012 N 6598 კანონით);
- სასურველი იყო დაწესებულებას გაეძლიერებინა საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და პროგრამის განვითარებაში აქტიურად ჩაერთო დამსაქმებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა სილაბუსებში ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებით, კერძოდ კი სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმძღვანელოზე აღნიშნა, რომ 2013 წელს გამოცემული სახელმძღვანელო ძირითად ლიტერატურაში იყო მითითებული. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების პოზიცია იყო, რომ ქართულენოვანი თარგმანი ერჩივნათ ორიგინალს.

როგორც ექსპერტმა განაცხადა, რეკოემნდაციები მხოლოდ სასურველ ხასიათს ატარებდა და არანაირად არ მიუთითებდა ხარვეზებზე. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის გაცემისას, სასურველი იყო პროგრამაში 4 ძირითადი მიმართულებიდან ბიზნეს აღრიცხვა ან ფინანსები ყოფილიყო

შეთავაზებული; სასურველი იყო დაკონკრეტებულიყო, თუ რას გულისხმობდა ზოგადი მენეჯმენტის მოდული.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სტუდენტები მმართველობით აღრიცხვას მმართველობით დონეზე გადიოდნენ და ამ მიზეზით პროგრამაში მითითება საჭიროდ აღარ ჩათვალეს, რადგან არჩიეს, მენეჯმენტის კუთხით დახელოვნებულიყვნენ. მაია გონაშვილმა განმარტა, რომ სასურველი იქნებოდა მენეჯერული საგნების გაძლიერება.

საბჭოს წევრმა, მაგდა მაღრაძემ პროგრამის შესახებ იკითხა, ამჯერად აკრედიტაციის გარეშე ხორციელდებოდა იგი თუ არა? პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2010 წლიდან პროგრამა ინსტიტუციური აკრედიტაციის ფარგლებში ხორციელდებოდა.

მაგდა მაღრაძე პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობით დაინტერესდა. საბჭოს წევრს ასევე აინტერესებდა, გააჩნდა თუ არა დაწესებულებას კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა და ძირითადად რა მიმართულებით საქმდებოდნენ ისინი. გიორგი ცხვედიანმა პასუხად განაცხადა, რომ პროგრამას 1000-მდე კურსდამთავრებული ჰყავდა. აღნიშნა, რომ სეუს ბაზაზე არსებული ტურისტული კომპანია, სადაც ტურიზმის მიმართულებით სტუდენტებს დასაქმების, დატრენინგების და პრაქტიკის, ასევე საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლეოდათ. გარდა აღნიშნული კომპანიისა, სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნის შეძენის შესაძლებლობა და დასაქმების პერსპექტივა სეუს ბაზაზე არსებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ჰქონდათ. მიმდინარე წელს 60 სტუდენტამდე დასაქმების შესაძლებლობა იყო.

9. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ფინანსები
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0204
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტმა მაია გონაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამის შემდგომ განვითარებას ისახავდა მიზნად:

- სასურველი იყო სასწავლო კურსის „ბიზნესის სამართალი" სწავლება სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით განხორციელებულიყო;
- სილაბუსებში უფრო მეტი სიზუსტით, ნათლად და დეტალურად მითითებულიყო შეფასების კრიტერიუმების აღწერა ქულების მიხედვით; ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებდა დახვეწას და რეკომენდირებული იყო უფრო ახალი ნორმატიული დოკუმენტების მითითება (მაგ.: ფინანსურ აღრიცხვაში საქართველოს კანონი „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ", 05 თებერვალი 1999წ. , რომელიც ძალადაკარგულია 2013 წლის 1 იანვირად საქართველოს 06/29/2012 N 6598 კანონით);
- სასურველი იყო ფინანსების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად არჩევითი საგნებიდან აბიტურიენტისათვის განსაზღვრულიყო მათემატიკის ჩაბარება, რაც უზრუნველყოფდა პროგრამაზე მათემატიკის ცოდნის უფრო მაღალი დონის მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვას და სწავლა/სწავლების პროცესში პროფესორებისა და სტუდენტების მხრიდან გაღებული ძალისხმევის თვალსაზრისით შექმნიდა უფრო მეტ კომფორტულობას, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პროფესორებისთვის;
- სწავლების პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების და გამოყენებული სწავლების მეთოდების შედეგიანობის გაზრდის მიზნით, სასურველი იყო სასემინარო ჯგუფებში სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად ჩარიცხულიყო არაუმეტეს 20-25 სტუდენტისა.
- სასურველი იყო დაწესებულებას გაეძლიერებინა საქმიანობა ინტერნაციონალიზაციისა და პროგრამის განვითარებაში დამსაქმებლების აქტიური ჩართვის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნეს სამართლის კურსის შეთავაზება, დაწესებულების აზრით, უფრო კონკრეტულ დარგზე ორიენტირების შემთხვევაში იქნებოდა მართებული.

სასწავლო ჯგუფების გაზრდასთან დაკავშირებული რეკომენდაციის მიმართ დაწესებულების წარმომადგენელმა თანხმობა გამოხატა და აღნიშნა, რომ ლექციაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 50 სტუდენტით განისაზღვრა, სასემინარო ჯგუფში - 25-ით.

პროგრამის ხელმძღვანელმა აკრედიტაციის ექსპერტებისადმი მადლიერება გამოხატა. მან პროგრამაზე მენეჯმენტის კურსების ნაკლებობის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას მენეჯმენტის ნაწილს თეორიის, მეთოდის, ორგანიზაციის, ტექნიკის და ტექნოლოგიის ელემენტების მომცველად განიხილავდნენ, საიდანაც პირველ სამი

საბაკალავრო დონეზე იქნებოდა გათვალისწინებული, მეოთხე კი სამაგისტრო დონე იყო. ამ მიზეზით, კურსები, რომლებიც სამაგისტრო დონეს ფარავდა, პროგრამის არჩევით ნაწილში იქნა შეთავაზებული (მაგალითად: ანტიკრიზისული მენეჯმენტი და საინფორმაციო მენეჯმენტი, რომლებიც მთლიანად პრაქტიკულ კურსებს წარმოადგენდნენ). პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, აღნიშნული არგუმენტი საკმარისი იყო იმისთვის, რომ პროგრამა ამ კუთხით უცვლელად შენარჩუნებულიყო.

გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ მისაღები კონტინგენტის არჩევისას დაწესებულებამ პრიორიტეტი მათემატიკას მიანიჭა.

10. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საბანკო საქმე
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრ საბანკო საქმეში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	020401
კრედიტების რაოდენობა:	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჯგუფის თევმჯდომარემ, მაია გონაშვილმა წარადგინა.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. ექსპერტის თქმით, ვიზიტამდე უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრი სამუშაო იყო ჩატარებული. თავდაპირველად წარმოდგენილმა პროგრამებმა მოდიფიკაცია განიცადა და დასკვნებიც, შესაბამისად, განახლებულ ვარიანტზე მომზადდა.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამის მიმართ შენიშვნები არ ყოფილა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში გარკვეული რეკომენდაციები დააფიქსირა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ყველა პროგრამისთვის საერთო იყო ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუდენტების საზღვარგარეთ კონფერენციებში მონაწილეობის პრაქტიკისა, სასურველი იყო, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ყურადღება ერთობლივი კვლევებისკენაც წარმოებისკენაც მიმართულიყო.

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა დახვეწას საჭიროებდა (კერძოდ, პრეზენტაციის შეფასების კომპონენტი მოიცავდა დავალებათა განაწილებას ჯგუფში -1 ქულა, რომელიც იკარგებოდა, როცა სტუდენტი მარტო ასრულებდა პროექტს და სხვა.). გარდა აღნიშნულისა, სასურველი იყო ლიტერატურის თანამედროვე სახელმძღვანელოებით განახლება - ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი არჩევითი კურსებისთვის არსებობდა ქართულ ენაზე თარგმნილი ახალი სახელმძღვანელოებიც. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სასურველი იყო ძველი კანონმდებლობის ახალი ვერსიებით ჩანაცვლება.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები ერთიანად წარუდგინა:

- სასურველი იყო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი გაძლიერებულიყო მენეჯმენტის პროფილის სასწავლო კურსებით;
- პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტში დაზუსტდებულიყო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათების ცალკეული აღწერილობითი ნაწილი და გასწორებულიყო ტექნიკური ხარვეზები. კერძოდ, სასურველი იყო ტექნიკური უზუსტობის გასწორება და პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობის დეტალების ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა - ნათლად მითითებულიყო უცხო ენების ჩამონათვალი, რომელთა ჩაბარებაც შეუძლია აპლიკანტს. სასურველი იყო დაზუსტდეს იმ სერთიფიკატთა ჩამონათვალი, რომლითაც აპლიკანტს შეუძლია B2 დონეზე უცხო ენის ცოდნის დადასტურება. სასურველი იყო, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში, ის აპლიკანტი, რომელსაც მისაღებ გამოცდაზე სხვა უცხო ენა ჰქონდა ჩაბარებული და არ იცოდა ინგლისური ენა, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა სწავლის

გაგრძელებას, ვინაიდან ცალკეულ სავალდებულო სასწავლო კურსებში ძირითად სასწავლო მასალად მითითებული იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა;

- სასურველი იყო ცალკეულ სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის უახლესი გამოცემების მითითება;
- სილაბუსებში უფრო მეტი სიზუსტით, ნათლად და დეტალურად მითითებულიყო შეფასებისას კრიტერიუმების აღწერა ქულების მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსშიც ასახულიყო მაგისტრის ხარისხის მინიჭების წესში განსაზღვრული ცალკეული პროცედურები, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- სასურველი იყო დაწესებულებას გაეძლიერებინა საქმიანობა ინტერნაციონალიზიაციის მიმართულებით, დამსაქმებლების აქტიური ჩართვა პროგრამის განვითარებაში.

11. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ტურიზმი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1120
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტის, მაია გონაშვილის განცხადებით, პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის ეფექტური თანამშრომლობის შედეგად დასკვნაში მხოლოდ ორი რეკომენდაციის ასახვა გახდა საჭირო:

- ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებდა დახვეწას, (პრეზენტაციის შეფასების კომპონენტი მოიცავდა დავალებათა განაწილებას ჯგუფში-1 ქულა, რომელიც იკარგებოდა, როცა სტუდენტი მარტო ასრულებდა პროექტს და სხვა.);
- სასურველი იყო დაწესებულებას გაეძლიერებინა საქმიანობა ინტერნაციონალიზიაციის მიმართულებით და დამსაქმებლების აქტიური ჩართვისთვის პროგრამის განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ მენეჯმენტის კურსების დამატებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაწესებულება ვერ გაიზიარებდა, რადგან, კურსები, რომლებზეც საუბარი იყო რეკომენდაციებში, გათვალისწინებული იყო პროგრამის Minor-ში. წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული კურსების პროგრამის Major-ში გადატანა Minor-ის გაღარიბებას გამოიწვევდა. შესაბამისად, სტუდენტს მენეჯმენტის კურსების გავლა Minor-შიც შეეძლო.

შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში, რომელიც ექსპერტის შეფასების საგანი გახდა, არ ეწერა, რომ პროექტი ჯგუფური ხასიათის იყო და უბრალოდ ნაგულისხმევი იყო, რა მიზეზითაც მისთვის ერთი ქულა განისაზღვრა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი იყო რეკომედაციის იმ კუთხით გაზიარება, რომ სილაბუსში დაზუსტებულიყო პრეზენტაციის ჯგუფური თუ ინდივიდუალური ხასიათი.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას რაც შეეხება, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის ერთერთი შემაფერხებელი გარემოება ენის ბარიერი იყო. აღნიშნული სიტუაციის გამოსწორების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტმა დაიწყო მუშაობა და უცხო ენის შესწავლისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა 20-მდე გაზარდა, ასევე, თავისუფალი კრედიტების ხარჯზე სტუდენტებს მეორე უცხო ენის გავლა შესთავაზა. წარმომადგენლის თქმით, პრობლემაზე მუშაობა გრძელდებოდა და მყარდებოდა კავშირები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან.

12. შპს სასწავლო უნივერსიტეტ - სეუს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	100502
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტმა დალი ოსეფაშვილმა დამსწრე საზოგადოებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები წარუდგინა:

- პროგრამით გათვალისწინებული იყო C სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი) 124 ECTS კრედიტი, D – სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 12 ECTS კრედიტი. შასურველი იქნებოდა გაზრდილიყო არჩევითი კურსების წილი.
- სასურველი იქნებოდა საგნები „ინგლისურენოვანი ქვეყნების ისტორია და კულტურა – ამერიკა (ინგლისურ ენაზე)" და „ინგლისურენოვანი ქვეყნების ისტორია და კულტურა - დიდი ბრიტანეთი (ინგლისურ ენაზე)" გამხდარიყო სავალდებულო.
- სასურველი იქნებოდა ზოგიერთ საგანში („აკადემიური წერა", „ლექსიკოლოგია")მომხდარიყო ლიტერატურის განახლება უახლესი გამოცემებით.
- „აკადემიური წერის" სწავლებისას ყველა საკითხზე ძირითად წყაროებად დასახელებული იყო შემდეგი ლიტერატურა 1. ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი „აკადემიური წერა დამწყებთათვის" 2007. 2. ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე „აკადემიური წერა" 2013. 3. თ.ჯაგოდნიშვილი, ივ.ჯაგოდნიშვილი მ.ვარდიაშვილი „აკადემიური წერა" 2008. თუმცა რეალურად ყველა საკითხს ვერ ფარავდა მითითებული სამივე ლიტერატურა. ასევე სასურველი იქნებოდა კურსის სწავლებისას გამოყენებული ყოფილიყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
- უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სტანდარტული სქემის მიხედვით აქტივობა ფასდებოდა 52 ქულით, დებატებში მონაწილეობა 14-ჯერ 3 ქულით და 2 პრეზენტაცია თითო 5 ქულით. სასურველი იქნებოდა შეცვლილიყო შეფასების კომპონენტების ზოგადი, სტანდარტული სქემა და ამა თუ იმ კონკრეტული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო მრავალფეროვანი და რელევანტური ფორმები ყოფილიყო გამოყენებული (მაგ: საგანში – ტექსტის ინტერპრეტაცია – შეფასებისას, ნაცვლად თარგმანისა, შემოწმებულიყო ტექსტი და მისი ინტერპრეტაციის ელემენტები).

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები მისაღები იყო, მხოლოდ აღნიშნეს, რომ ვინაიდან აკადემიური წერა იყო საუნივერსიტეტო საგანი და ისწავლებოდა პირველ სემესტრში ვერ მოხდებოდა მისი უცხოეური ლიტერატურით სწავლება მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა გახლდათ ინგლისურენოვანი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა არსებობდა თუ არა მოლოდინი იმისა, რომ პირველ კურსზე სტუდენტებს ეცოდინებოდათ ინგლისური, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამის მოლოდინი არ არსებობდა, ვინაიდან სტუდენტების უმეტესობამ არ იცოდა ინგლისური, აბარაბდენენ 35 პროცენტიანი ბარიერით, ამიტომ

უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა სავარუდოდ მესამე კურსზე. ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლები ვერ დაეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მითითებულ მეოთხე რეკომენდაციას.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა სად დასაქმდებოდნენ ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ თარჯიმანთა ბიუროებში და თითქმის ყველა მუშაობდა მესამე კურსის შემდეგ. ძირითადი დასაქმების სფერო იყო სკოლები.

13. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0703
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, დალი ოსეფაშვილმა წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები გაახმოვანა:

- პროგრამით გათვალისწინებული იყო 120 კრედიტი და არჩევითი 15 კრედიტი. სასურველი იყო, პროგრამაში შემცირებულიყო სავალდებულო საგნების რაოდენობა და გაზრდილიყო არჩევითი კურსების წილი;
- უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სტანდარტული სქემის მიხედვით, აქტივობა ფასდებოდა 52 ქულით - დებატებში მონაწილეობა 14-ჯერ 3 ქულით და 2 პრეზენტაცია თითო ქულით. სასურველი იყო, შეცვლილიყო შეფასების კომპონენტების ეს ზოგადი სტანდარტული სქემა, პრეზენტაციებს უფრო მეტი ქულა მინიჭებოდა და კონკრეტული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო მრავალფეროვანი ფორმები ყოფილიყო გამოყენებული, ვიდრე მხოლოდ აქტივობა - დებატებში მონაწილეობა და პრზენტაციები;
- ცალკეულ საგნებში გამოიყენებოდა პრაქტიკული დავალებები და პროგრამით გათვალისწინებული იყო სავალდებულო პრაქტიკაც, მაგრამ სასურველი იყო, პროგრამაში კიდევ უფრო გაძლიერებულიყო პრაქტიკული კომპონენტის სწავლება და დამატებულიყო პრაქტიკული კურსები, სადაც სემესტრის დასასრულს წარმოადგენდნენ მედიაპროდუქტს (გაზეთს, ჟურნალს, ტელე თუ რადიო გადაცემას); მით უფრო, რომ უნივერსიტეტის ერთერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ახალი ტელე და ხმის ჩამწერი სტუდიები, რომელიც გამოზნულია კურიკულუმს გარეთა აქტივობებისთვის და სასურველი იყო, ეს მატერიალური ბაზა გამოყენებული ყოფილიყო სწავლების სავალდებულო კომპონენტშიც;
- გადამუშავებას მოითხოვდა კურსი „მედია პროდუქცია“, რომელიც მიზნად სწორედ კონკრეტული მედიაპროდუქტის მომზადებას უნდა ისახავდეს და შედეგიც, სწორედ პრაქტიკული შედეგის - მედიაპროდუქციის წარმოდგენა უნდა იყოს. თუმცა ეს თეორიული საგანი უფრო მიმოხილვითი ხასიათისაა და შესავალ კურსს წააგავს;
- პროგრამით გათვალისწინებული იყო საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, მაგრამ არ ისწავლებოდა მედიის კვლევის ან სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები. სასურველი იყო, პროგრამას დამატებოდა ისეთი სავალდებულო კურსი, როგორიცაა კვლევის მეთოდები ან საბაკალავრო ნაშრომის დიზაინი;
- სასურველი იყო, ზოგიერთ საგანში მომხდარიყო ლიტერატურის განახლება უახლესი გამოცემებით;
- პროგრამა ითვალისწინებდა მხოლოდ 2 დარგობრივ კურსს. „კულტურის საკითხების გაშუქება მედიაში“ და „მედია და პოლიტიკა“. სასურველი იყო, პროგრამაში კიდევ უფრო გაზრდილიყო ე.წ. დარგობრივი გაშუქების კურსები;
- სასურველი იყო, მომხდარიყო დამატებითი, ე.წ. მაინორ პროგრამის სტრუქტურის გადახედვა. მაგალითად, სავალდებულო იყო, არჩევითი კურსები „კულტურის საკითხების

გაშუქება მედიაში“ და „მედია და პოლიტიკა“, იმ დროს, როდესაც საერთოდ გამორჩენილი იყო „ტელეჟურნალისტიკა“.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა პირველ რეკომენდაციას. შეფასების სისტემას რაც შეეხებოდა, წარმომადგენლის თქმით იგი უნივერსიტეტში ერთიანი იყო და ყოველკვირეული აქტივობა 42, პრეზენტაცია 10 ხოლო დასკვნითი გამოცდა 30 ქულით ფასდებოდა. ამ სისტემის შემოღება, მისი განცხადებით, სტუდენტთა აქტივობის გაზრდით იყო განპირობებული. დარგობრივი მიზნებიდან გამომდინარე, შეფასების ფორმები არ იყო სტანდარტული. რეკომენდაცია გაითვალისწინეს და პროფესორს ექნებოდა ელექტრონულ ბაზაში შეფასების სისტემასთან წვდომა.

დაწესებულება ასევე ეთანხმებოდა ლიტერატურის განახლებასთან და Minor პროგრამების განხლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არჩევით ბლოკში (60 კრედიტი) თავისუფალი კრედიტების გათვალისწინებაც უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება პრაქტიკულ მიმართულებას, პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სტუდენტი მცირე საგაზეთო სტატიას წერდა და უშვებდა მედია პროდუქტს. გაფართოვდა უნივერსიტეტის მედია ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სტუდენტების ჯგუფი მოამზადებდა გაზეთს ან ჟურნალს.

14. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0707
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტტა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ლილი ხეჩუაშვილმა
რეკომენდაციები მდგომარეობდა შემდეგში:

- მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის სასწავლო კურსების მოდულში სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობა (ECTS კრედიტების მიხედვით) მეტ-ნაკლებად ოპტიმალური იყო და ფორმალურად უზრუნველყოფდა სტუდენტისთვის შესატყვისი მოცულობის ბაზისური ცოდნის მიცემას, კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გაცნობის შემდეგ შემუშავდა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც რეკომენდებული იქნა პროგრამის წყობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც მეტად ოპტიმალურს გახდიდა სასწავლო პროცესს ათვისებული ბაზისური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მოცულობის და ზოგადობის თვალსაზრისით. კერძოდ:

ვინაიდან პროგრამის სავალდებულო კურსები სტუდენტს უნდა აძლევდეს ზოგად და ბაზისურ დარგობრივ ცოდნას, მიზანშეწონილი იქნება სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან ისეთი კურსების ამოღება და არჩევითებში გადატანა, რომლებიც ფსიქოლოგიის სფეროში სპეციფიკური საკითხების შესახებ ცოდნისა თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების უზრუნველყოფას ემსახურება. ასე მაგალითად, ისეთი კურსები, როგორიცაა ნეიროფსიქოლოგია, პათოფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, ფსიქოდიაგნოსტიკა, ფსიქოთერაპია და ფსიქოკონსულტაცია სწორედ ასეთი კურსების რიცხვში შედის. ამიტომ მათი გადატანა არჩევითი კურსების ჩამონათვალში სრულიად გამართლებული იქნება. ამ შემთხვევაში სტუდენტი, საკუთარი მოსაზრებებისა და ინტერესების მიხედვით, შეძლებს ისეთი კურსების არჩევას ან არ არჩევას, როგორიცაა, მაგალითად, ფსიქოლოგიური კონსულტირების საკითხები ან ნეიროფსიქოლოგია. გარდა ამისა, სავალდებულო კურსების სიაში შეტანილია სოციოლოგიის საფუძვლები, რომელსაც სტუდენტები პირველივე წელს გადიან და სრულიად არ წარმოადგენს სპეციალობის საგანს. ამიტომ მისი გადატანაც რეკომენდებულია არჩევითი კურსების ჩამონათვალში.

ვინაიდან პროგრამის აღწერაში დეკლარირებულია პროგრამის აგების პრინციპი „ზოგადიდან კერძოსკენ" და „მარტივიდან რთულისკენ", პროგრამის სტრუქტურაც, სასურველია, ბოლომდე მიჰყვებოდეს ამ პრინციპს. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება:

თუ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შევა მხოლოდ ბაზისური კურსები (რომლებიც, ფაქტობრივად, ყველაა წარმოდგენილი მოცემულ პროგრამაში) და უფრო ვრცელი სახით, ანუ რეკომენდებულია, რომ ბაზისური კურსები შედგებოდეს პირველი და მეორე ნაწილისგან, როგორც ეს განვითარების ფსიქოლოგიის ან სოციალური შემთხვევაშია მოცემულ პროგრამაში. უფრო კონკრეტულად, მართებული იქნება, თუ პროგრამის სავალდებულო კურსების ნუსხაში შეტანილი იქნება, მაგალითად, კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2, განწყობის ფსიქოლოგია 1 და 2, კვლევის მეთოდები 1 და 2, პიროვნების ფსიქოლოგია 1 და 2.

ზემოთაღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება ზოგიერთი კურსის მიწოდების თანმიმდევრობის მოდიფიცირება. ასე მაგალითად, შრომისა და

ორგანიზაციული ფსიქოლოგია პირველი დონის ბაზისური კურსია, რომელიც, სულ გვიან, მეოთხე სემესტრში უნდა მიეწოდებოდეს სტუდენტს, ხოლო ნეიროფსიქოლოგია მესამე დონის სპეციალიზირებული კურსია, რომლის შეთავაზებაც შედარებით მოგვიანებით არის მიზანშეწონილი. წარმოდგენილ პროგრამაში ნეიროფსიქოლოგია მეხუთე, ხოლო შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია მერვე სემესტრებშია გაწერილი. რეკომენდებულია ამ თანმიმდევრობის შეცვლა და მარტივიდან რთულისკენ და ზოგადიდან კერძოსკენ პრინციპის დაცვა, რაც სტუდენტებს გაუადვილებს ცოდნის ათვისებას და დარგობრივ სპეციფიკაში გარკვევას.

აქვე უნდა ითქვას, რომ განვითარების ფსიქოლოგია, რომელიც ერთ-ერთ ბაზისურ კურსს წარმოადგენს და მოცემულია ორ ნაწილად, ფარავს ადამიანის განვითარების მხოლოდ ნაწილს, კერძოდ, ორი სემესტრის ბოლოს სტუდენტმა იცის მხოლოდ მოზარდობის პერიოდის ჩათვლით განვითარების დინამიკა და თავისებურებები. ორივე კურსი (1 და 2) ერთად არ ფარავს მოზარდობის შემდგომ პერიოდს. ასე მაგალითად, მასში არ არის განხილული თანამედროვე ფსიქოლოგიაში აქტიურად დამუშავებადი და კვლევადი თემები, როგორიცაა იდენტობის ფორმირება, ფორმირებადი მოზრდილობის ხანა (ემერგინგ ადულტჰოოდ), გენერაციულობის საკითხები შუა ხნის მოზრდილებში, გვიანი მოზრდილობა, დაბერება და ა. შ. ფაქტობრივად, ორსემესტრიანი კურსი ფარავს განვითარებას დაბადებიდან ვიდრე 16-17 წლამდე და დანარჩენი ცხოვრება განხილვის მიღმა რჩება. ამიტომ რეკომენდებულია ორსემესტრიან კურსში ადამიანის განვითარების სრული ციკლის განხილვა, რაც სრულიად შესაძლებელია და დაძლევადია განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2-ის ფარგლებში.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების ჩამონათვალში ვკითხულობთ: შეძლებს მუშაობას მარკეტინგულ ქსელებში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში". ამ კომპეტენციების შეძენა პრაქტიკულად შეუძლებელია იმ ერთადერთი ხუთკრედიტიანი ბაზისური კურსის ფარგლებში, რომელიც სწავლების მერვე სემესტრში შეეთავაზებათ სტუდენტებს (შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია). ეს კურსი მხოლოდ ბაზისურ ცოდნას მისცემს მათ დარგის შესახებ. იმისათვის, რომ სტუდენტებმა ეს კომპეტენციები შეიძინონ და შეძლონ დასახელებულ ორგანიზაციებსა თუ პოზიციაზე მუშაობა, რეკომედებულია აღნიშნული კურსის სწავლების მესამე-მეოთხე სემესტრში გადატანა და შემდგომ არჩევითი კურსებით ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება. ამ მიმართულებიდან არჩევით კურსებში შეეთავაზებათ სტუდენტებს, მაგალითად, რეკლამის ფსიქოლოგია და მართვის ფსიქოლოგია, თუმცა ეს კურსები უფრო ადრეა გათვალისწინებული პროგრამაში, ვიდრე ბაზისური ზემოთაღნიშნული კურსი.

- ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგებში დეკლარირებულია, რომ სტუდენტი შეძლებს ემპირიული მონაცემების შეგროვებას, მცირე მოცულობის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებას და, ასევე, მას ევალება ემპირიული კვლევის განხორციელება საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში, რეკომენდებულია პროგრამაში ამ კომპონენტის გაძლიერება. კერძოდ, ლოგიკური იქნებოდა, რომ პროგრამაში სათანადოდ იყოს წარმოდგენილი კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა დამუშავება-ანალიზის კურსები. მოცემულ მომენტში პროგრამაში ამ მიმართულებიდან შეტანილია ხუთკრედიტიანი კურსი „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში (SPSS)", რომელიც სტატისტიკისა და SPSS-ის შესახებ ბაზისურ ცოდნას იძლევა (მერვე სემესტრში) და ხუთკრედიტიანი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში (მეხუთე სემესტრში). ფაქტობრივად, პროგრამის ამჟამინდელი მდგომარეობით გამოდის, რომ სტუდენტები ორ სემესტრში (და ორი კურსის ფარგლებში) სწავლობენ კვლევის წარმოების პრინციპებს, ძირითად სამუშაო ჩარჩოებს, ფსიქოლოგიაში წარმოებულ კვლევაში მონაცემთა შეგროვების ძირითად რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, მათ მოწესრიგება-დამუშავებას, პროგრამულად SPSS-ში შეტანა-დამუშავებას, ინტერპრეტაციას, ანალიზსა და ანგარიშის დაწერას. ცხადია, სრულიად შეუძლებელია ამ მოცულობის

მასალისა და უნარ-ჩვევის ორი ხუთკრედიტიანი კურსის ფარგლებში ათვისება. მით უმეტეს, რომ კომპეტენციებში დეკლარირებულია: „შეუძლია ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი" და დასაქმების სფეროების ჩამონათვალში ვკითხულობთ: „შეძლებს მუშაობას კვლევით ორგანიზაციებში". აქედან გამოდინარე, აღნიშნული კომპონენტის ოპტიმალური დაგეგმისთვის რეკომენდებულია:

სავალდებულო კურსების ჩამონათვალში ჩართული კვლევის მეთოდების კურსის განვრცობა და შინაარსის არსებითად მოდიფიცირება. ამჟამინდელი მდგომარეობით ეს ხუთკრედიტიანი კურსი მოიცავს მეთოდების მთელი რიგის სწავლებას, რომელთაგან ნაწილი სოციოლოგიური კვლევის მეთოდებია, ხოლო ფსიქოლოგიაში გამოყენებული სპეციფიკური მეთოდების ჩამონათვალი იმდენად გრძელია და შემჭიდროვებულად მიწოდებული, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია ასეთ მოკლე დროში ამდენი საკითხის დაფარვა. კერძოდ:

ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებში იკითხება სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, რაც კურსის დასახელებისა და შინაარსის აცდენას იწვევს. ასე მაგალითად, მეექვსე კვირაში განსახილველი თემაა „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები -კვლევის ეტაპები,მეცნიერული გამოკითხვის მეთოდი, გამოკითხვის სახეები და ქვესახეები", ხოლო მერვე კვირას - „მასობრივი გამოკითხვა - მასობრივი გამოკითხვის სახეები და ტიპები, ინტერვიუ, ანკეტირება" და მეცხრე კვირას. „შედარებითი და ისტორიული კვლევის მეთოდი". დასახელებული საკითხები და მეთოდები სრულიად არარელევანტურია ფსიქოლოგიის ფარგლებში წარმოებული კვლევებისთვის. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ვინაიდან ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია კობა ნონიაშვილის სახელმძღვანელო „კვლევის მეთოდები ემპირიულ და გამოყენებით სოციოლოგიაში", გასაგები ხდება კურსის ასეთი შინაარსი.

მეორე პრობლემა, რაც კურსის შინაარსს უკავშირდება, არის ფსიქოლოგიის ფარგლებში გამოყენებადი მეთოდების სიმრავლე და დროის სიმცირე, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თითოეული მეთოდის ათვისების ხარისხს. ასე მაგალითად, XII კვირა ეთმობა თემას: „კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები -- დღიური, დღიურის ტექნიკის უპირატესობები, დღიურის ტიპები, კონტენტ-ანალიზი, კონტენტ-ანალიზის კომპონენტები, კონტენტ-ანალიზის სახეები, ექსპერიმენტი." თუ კურსის მიზანი მხოლოდ არსებული მეთოდების თეორიული მიმოხილვაა და არა -- მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლება, მაშინ სრულიად საკმარისია ერთი კვირა ამ ჩამონათვალისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში არარეალური ხდება ერთ კვირაში ამ მეთოდების ათვისება.

ასევე, კურსის მეცამეტე კვირაში წარმოდგენილია თემა: „მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და გაფორმება-სტატისტიკური და პარამეტრული მონაცემები, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა, მონაცემთა წარმოდგენა, ფსიქოლოგიური კვლევის გაფორმება". პირველ რიგში, ჩამოთვლილი საკითხები არ წარმოადგენს კვლევის მეთოდების კურსისთვის რელევანტურ თემებს და მეორე, რომც რელევანტური თემატიკა იყოს, პრაქტიკულად შეუძლებელია ერთ კვირაში ამ რაოდენობის საკითხების ათვისება.

გარდა ამისა, სწავლის შედეგებში წერია, რომ სტუდენტს ეცოდინება (1) კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა აღწერითი, კორელაციური და ახსნითი, რაც თემების ჩამონათვალში არსად ჩანს; (2) ისეთი მეთოდიკები და ტექნიკები, როგორიცაა ექსპერიმენტი, ტესტირება, სოციომეტრია და ფსიქომეტრიკა, სკალირება, გამოკითხვა, პროექციული მეთოდიკები, ტრენინგები, სტატისტიკური მეთოდები. პროგრამის შინაარსში არსად არ არის ნახსენები, სოციომეტრია, სკალირება, პროექციული მეთოდიკები და ტრენინგები. გარდა ამისა, ამისა, ფსიქომეტრიკა, ტრენინგები და სტატისტიკური მეთოდები საერთოდ არ არის კვლევის მეთოდი.

ამრიგად, რეკომენდებულია: (1) კურსისთვის მეტად ადეკვატური ლიტერატურის მოძიება და შერჩევა; (2) კურსის შინაარსის დასახელების შესატყვისად გადაწყობა; (3) კურსის

ორსემესტრიან კურსად გადაკეთება (იხ. ზემოთ); (4) რეალურად ათვისებადი რაოდენობის საკითხების შეტანა კურსში იმგვარად, რომ სტუდენტებმა კურსის ფარგლებში რეალურად მიიღონ როგორც თეორიული ცოდნა, ისე -- პრაქტიკული უნარ-ჩვევები; (5) კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

ასევე, რეკომენდებულია კურსის „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში (SPSS)" ორ კურსად — სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის და SPSS-ში მუშაობის ძირითადი პრინციპები (ან ნებისმიერი დასახელება, რომელიც საფუძვლებს ასახავს) — დაშლა. ამასთან, პირველი სავალდებულო კურსების ნუსხაში შევიდეს, ხოლო მეორე —არჩევითებში და სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით აირჩევს (ან არ აირჩევს) მას. უფრო კონკრეტულად:

ამჟამინდელი მდგომარეობით ერთსემესტრიანი კურსი, რომელიც წამოდგენილი იყო აკრედიტაციის ვიზიტის დროს, როგორც სილაბუსიდან ჩანს, ფარავს სტატისტიკის და SPSS-ში მუშაობის საკითხებს, თუმცა ზუსტად არ ჩანს, რა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენენ სტუდენტები, ვინაიდან სალექციო თემები გაწერილია სტატისტიკის საკითხებით და მხოლოდ ჯგუფურ მუშაობაშია მოცემული სტანდარტულად „სტატისტიკა SPSS-ის გამოყენებით. ამოცანა SPSS-ისათვის. სავარჯიშოები." აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა მეტად თვალსაჩინოდ იყოს აღწერილი სილაბუსში რას და როდის სწავლობენ და აკეთებენ სტუდენტები.

გარდა ამისა, კარგად არ ჩანს, რა ლოგიკა უდევს საფუძვლად კურსის შინაარსის დალაგებას, კერძოდ, არათანმიმდევრულად არის წარმოდგენილი აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ელემენტები. ასე მაგალითად, მონაცემთა გრაფიკული გამოსახვის ტექნიკებისა და ცენტრალური ტენდენციის საზომების (აღწერითი სტატისტიკა) შემდეგ სტუდენტები პირდაპირ დისპერსიულ ანალიზს (დასკვნითი სტატისიკა) ეცნობიან, შემდეგ უბრუნდებიან აღწერით სტატისტიკას ვარიაციის საზომებისა და განაწილებების სახეების განხილვით. ასევე, არათანმიმდევრულადაა წარმოდგენილი არაპარამეტრული საზომების განხილვა (თემა11, 12, 13), თუმცა საერთოდ არსად არ არის სტუდენტებისთვის განმარტებული სტატისტიკისთვის და, ასევე, SPSS-ში მუშაობისთვის ისეთი ბაზისური საკითხები, როგორიცაა გაზომვის სკალები, პარამეტრული და არაპარამეტრული მონაცემები, სტატისტიკური მოდელის აგების მიზანი და პრინციპები, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა, სტატისტიკური სიდიდე და ა. შ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამოდინარე, სასურველი იქნებოდა, თუ კურსის შინაარსი თანმიმდევრულად, მზარდი სირთულით მიაწოდებდა სტუდენტებს ცოდნას სტატისტიკის ბაზისური საკითხების შესახებ და, შესაბამისად, გამოუმუშავებდა მიღებული თეორიული ცოდნის ოპერაციონალიზაციის, პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.

კურსის სილაბუსში აღწერილი კომპეტენციები და შინაარსი არათავსებადია ერთმანეთთან. ასე მაგალითად, სწავლის შედეგებში ვკითხულობთ: „SPSS მეთოდის გამოყენებით რთული და დიდი მოცულობის ბაზების დამოუკიდებლად დამუშავება." პირველ რიგში, SPSS არ არის მეთოდი; მეორე, სილაბუსში წარმოდგენილი საკითხების დაფარვის შემდეგ სტუდენტი ნამდვილად ვერ შეძლებს რთული და დიდი მოცულობის ბაზებთან მუშაობას, არათუ -- დამოუკიდებლად მუშაობას; მესამე, დასახელებული შედეგები ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაა და არა -- ცოდნა-გაცნობიერება, როგორც ეს სილაბუსშია მითითებული.

გარდა ამისა, სილაბუსის მიხედვით, სტუდენტს შეეძლება „სხვადასხვა ტიპის აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება". პირველი, აღწერითი ანალიზი უბრალოდ ნონსენსია; მეორე, სტუდენტები, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, საერთოდ არ სწავლობენ, რომ არსებობს აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა; მესამე, „სხვადასხვა ტიპის" ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირებაა და კონკრეტულად არ მიუთითებს, რა ტიპის სამუშაოს შესრულებას შეძლებს სტუდენტი. და ბოლოს, დასკვნის უნარში ვკითხულობთ: „სტუდენტს აქვს უნარი განსაზღვროს სოციალურ მეცნიერებებში

გამოყენებული რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ასევე მზა რაოდენობრივი მონაცემებით ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი." უბრალოდ გაუგებარია, რა კომპეტენციას იძენს სტუდენტი. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: (1) კურსის შინაარსის უფრო დეტალურად გაწერა, რაც შესაძლებელს გახდის, თვალსაჩინოდ ჩანდეს, რას, როდის და როგორ აკეთებენ და სწავლობენ სტუდენტები კურსის ფარგლებში; (2) კურსის თემატურად/შინაარსობრივად ლოგიკურად დალაგება პრინციპით ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ; (3) სტატისტიკის ბაზისური საკითხებისა და ცნებების სწავლება კურსის ფარგლებში (იხ. ზემოთ); (4) სწავლის შედეგებისა და კურსის შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

- პროგრამაში ჩართულ კურსებში სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის გრაფაში ყველგან ქართული წყაროები იყო მითითებული, თუმცა რიგ შემთხვევებში ან მცირე რაოდენობისაა წასაკითხი მასალის რაოდენობა, ან არარელევანტურია მოცემული კურსისა. უფრო კონკრეტულად: რიგ შემთხვევებში სრულიად არასაკმარისი და ძალზე მცირე მოცულობის მასალა ეძლევათ სტუდენტებს წასაკითხად. ასე მაგალითად, ფსიქოდიაგნოსტიკის კურსში სტუდენტებს მეოთხე კვირას მხოლოდ ოთხი (4) გვერდი აქვთ წასაკითხი, ფსიქოკონსულტირებაში -- XIII კვირას ხუთი (5) გვერდი და XVI კვირას მხოლოდ ორი (2) გვერდი, რაც ნამდვილად არასაკმარისია შესაბამის კვირებში განხილული საკითხების ასათვისებლად. გარდა ამისა, ზოგ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა და კურსი, რომელიც ამ ლიტერატურით ისწავლება, არ შეესატყვისება ერთმანეთს. მაგალითად, ფსიქოდიაგნოსტიკის სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად მითითებულია ორი წყარო: გერიგი-ზიმბარდოს „ფსიქოლოგია და ცხოვრება" და ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. აქედან პირველი სახელმძღვანელო პირველი დონის კურსის საკითხავ მასალას მოიცავს და, როგორც წესი, ფსიქოლოგიის შესავლის ან ფსიქოლოგიის საფუძვლების სწავლებისთვის გამოიყენება, ხოლო მეორე ენციკლოპედიაა, რომელიც ნამდვილად ვერ იქნება საკმარისი ისეთი სპეციფიკური კურსისთვის, როგორიც ფსიქოდიაგნოსტიკაა.აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია საკითხავი ლიტერატურის გამდიდრება-გამრავალფეროვნება და ადეკვატურად შერჩევა პროგრამაში ჩართული კურსების სწავლებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაზე ფსიქოლოგიური ლიტერატურის არც თუ ისეთი მდიდარი არჩევანი თავად აკადემიური პერსონალის მხრიდან საკითხავი მასალის (რიდერების) აკუმილურების აუცილებლობას ქმნის, რაც დამკვიდრებული პრაქტიკაა ქართულ უნივერსიტეტებში და რეკომენდებულია ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებაც.
- რეკომენდებული გახლდათ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში კვირების მიხედვით გაწერილი თემატიკის გადასინჯვა და ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება. ამჟამინდელი მდგომარეობით სტუდენტი მესამე კვირას იძიებდა თეორიულ და ემპირიულ მასალას, მეოთხე კვირას ლიტერატურას და მასალებს ამუშავებდა, მეხუთე-მეექვსე კვირას კვლევას ატარებდა, მონაცემებს ამუშავებდა და დასკვნები გამოჰქონდა, ხოლო ამის შემდეგ იწყებდა ნაშრომისთვის მეთოდების არჩევას და მისი პრაქტიკული და თეორიული ღირებულების განსაზღვრას. უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ სტუდენტს ჯერ კვლევის პროექტი მოემზადებინა, რაც საკითხის განსაზღვრას, აქტუალობის დასაბუთებას, კვლევის დიზაინის, მეთოდებისა და მონაწილეების შერჩევას და ა. შ. მოიცავდა, შემდეგ ჩაეტარებინა კვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია-ანალიზი და ბოლოს ნაშრომის გაფორმება.
- მთლიანად პროგრამისა და მასში ჩართული კურსების სილაბუსების (თვითშეფასების კითხვარი არ იყო წარმოდგენილი) დეტალური გაცნობის საფუძველზე რეკომენდებული იქნა პროგრამის, როგორც ერთი მთლიანის, ხელახალი გააზრება, მისი მიზნების, შინაარსისა და შედეგების მეტად ჰარმონიზაცია და ერთმანეთთან შესაბაისობაში მოყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურად გამოიყენებოდა ქართულენოვანი წყაროები, აგრეთვე აუცილებლად გათვალისწინებული იქნებოდა რეკომენდაცია რიდერების შექმნის თაობაზე და აღნიშნა, რომ ფსიქოდიაგნოსტიკა ისწავლებოდა იმედაძის სახელმძღვანელოთი. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას კვლევის მეთოდების თავებად დაყოფის შესახებ, აღნიშნულს აუცილებლად მიიღებდა დაწესებულება მხედველობაში. ასევე დაწესებულება პროგრამის შედგენისას ამოვიდა ბაკალავრიატის მიზნებიდან ვინაიდან სტუდენტს უნდა მიეღო ფართო ცოდნა და შემდეგ დახელოვნებულიყო მაგისტრატურაში, შესაბამისად ყველა რეკოემნდაცია რომელიც მიმართული იქნებოდა სტუდენტის ცოდნის ამაღლებაზე მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს სხდომაზე 20:00 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 20:50 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე სახოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყეტილებები:

- შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ფინანსების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1)
  ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაფართოება და მეტი არჩევით საგნების შეთავაზების კუთხით.
- შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 3; წინააღმდეგი - 2).
  ამასთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ერთი წლის განმავლობაში, კონკრეტულად პროგრამულ ნაწილში, სადაც ყურადღება გამახვილდება ლიტერატურის გამრავალფეროვნებაზე, მიცემული რეკომენდაციების მიხედვით პროგრამის დახვეწაზე, რაც ემსახურება პროგრამის სრულყოფას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 21:00 საათზე.

თავმჯდომარე
მაია მიქაშავიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე